



შინაარსი: როგორი დანიშნულება უნდა მიეცეს იმერეთის თავად-აზნაურობის თანხას, ერთი კამისიის წევრთაგანისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — „გვალის“ კორესპონდენციები. — სასამოელო ამბავი. — ქალთა კითხვა ა. ჩხენკელიასი. — ქალწელს, ლექსი და თომასილისა — შარშანდელი „ფეხილის“ კრიტიკოსი (დასასრული) ივ. გომართელიასი. — ღია წერილი „ივერიის“ რედაქციას სტ. ი. დედოფარაიანისა. — „შენც სრულიად მონა ხარ“ (ეტიუდი) იასე რაჭველისა. — ქუთაისის სააბრეშუმო და საფეიქრო ამხანაგობის შესახებ თ. ხურცილაძისა.

რედაქციის ადრესი: არცილერის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

როგორი დანიშნულება უნდა მიეცეს იმერეთის თავად-აზნაურობის თანხას (კაპიტალს).

იმერეთის თავად-აზნაურობამ თავის სასახელოთაში წლის 28 მარტის სხდომაზე ერთ ხმათ გადაწყვეტა შემდეგი: იმ მეთოდ-ნაწილს გლეხის სულელებში მიღებული ფულისას, რომელიც მისმა წინაპრებმა საძირკელათ დაუდევს მიხაილოვის საადგილ-მამულო ბანკს საერთო კეთილ დღეობისათვის და ახლა უკან უბრუნდება მისვე შთაპომავლობას, თანახმად თავის წინაპართა კეთილშობილური განზრახვასა, იმერეთის თავად-აზნაურობა ერთ ხმათ წირავს განათლების საქმეს იმ პირობით, რომ ეს დაბრუნებული ფული სულ ერთიანად გადაიდეს საუკუნო თაენათ, რომლის შემოსავალი ნიადაგ უნდა მოხმარდეს იმერეთის მიწის შეილებების განათლებას. ამ სახელოვანი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა კამისიას, რომლის ღირსეული წევრები ერთხმათ იყვენ არჩეული კრებაზე. რადგან ასეთი დიდი საქმის განხორციელების დაგვიანება არ ვარგა, ამისთვის ჩვენ

გვინდა მოვავლოთ კამისიის არჩეულ წევრთა, რომ დროზე შეიმუშაონ ვრცელი პროგრამა თავისი მოქმედებისა და წარუდგინონ მომავალ სათავად-აზნაურო კრებას. ამ განზრახვით ჩვენ გვსურს რამდენიმე მოსაზრება წინ წაუთმძღვანოთ კამისიის მოქმედებას. როგორც იმერეთის თავად-აზნაურობის წინაპართ სურდათ და ან როგორ მნიშვნელობასაც ისინი საადგილ-მამულო ბანკს აძლევდენ, სამწუხაროთ ისე არ გამართლდა, არც მათი წადილი, არც მათი მოლოდინი. ბანკის გამგებლები ვერ გამოჩნდენ ისეთნი, რომ ღირსეულათ შეესრულებინათ მათ მიერ ნაკისრი საქმე. თვით საადგილ-მამულო ბანკის დაარსებაც არ იყო შესაფერი ჩვენი ერის ეკონომიური მდგომარეობისა, ასე რომ ყოველივე აღფრთოვანებული იმედები, რომლითაც ბანკის მიერ კარგი ჯამაგირებით დაჯილდოვებული გამგებლები თვალს უბამდენ საზოგადოებას, გაცრუვდა. თავად-აზნაურობა საადგილ-მამულო ბანკმა დააფალიანა, მამა-პაპეულ მიწა-წყალზე ხელი ააღებინა და საოცრათ გააღარბა, ბოლოს ესეც არ აკმაზა და თვით საადგილ-მამულო ბანკი მის დამფუძნებლებს ხელიდან გამოაცალა და

მსესხებლებს მიაკუთნა. ამ მწუხარე მდგომარეობაში იმერეთის თავად-აზნაურობას ერთი ერთი ნუგეში დარჩა, რომ მათი წინაპრების ნაანდერძევი საქველ-მოქმედო თავნი (კაპიტალი) მაინც არ დახარჯული-ყო. მაღლობა უფალს, ღღეს ეს თავნი მას ხელში აქვს, რომ აწ მაინც ღირსეულათ დააგვირგინოს კეთილშობილური წადილები თავისი წინაპრებისა.

უნდა ვთქვათ, რომ იმერეთის თავად-აზნაურობას გარდა ზარალისა ღღემდის სარგებლობა არა უნახავს რა თავის სადგილ-მამულლო ბანკისაგან. ამასვე ვერ ვიტყვი თფილისის ბანკზე. ვთქვათ, იმანაც კი წაართვა ადგილ-მამული თავად-აზნაურობას, მაგრამ მაგიერათ ერთი მილიონის საღირალი მამული მაინც შეძინა, ამას გარდა სათავად-აზნაურო სკოლა თითქმის სრულ ღემნაზიათ გახდა და მკიცე საფუძველზე დააყენა; შეძინა მას აგრეთვე რამდენიმე სხვა მამულებიც: თფილისში შენობები, სკრის მამული და გასცა მრავალი შემწეობა სეტყვით დაზარალებულ თავად-აზნაურებზე.

იმერეთის თავად-აზნაურობას არც ერთი ამისთანა თვალსაჩინო სარგებლობა თავის ბანკიდან არ ახსოვს; მით უფრო უნდა გაუფრთხილდეს იმერეთის თავად-აზნაურობა თავის კაპიტალს, რომლის იმედით მრავალი საკუთარი საზოგადო საქმეები აქვს დასაკმაყოფილებელი. მაშასადამე იმას არც ღონე და არც უფლება არა აქვს ამ თავის კაპიტალიდან ერთი კაპიციკ რა არის სხვა საქმეს და სხვა საზოგადოებას შეწიროს, გარდა თავის საკუთარი იმერეთის ერის საქიროებათა დაკმაყოფილებისა, და იმედია, იმერეთის თავად-აზნაურობა, როგორც შეშენის მის შორს გამჭვრეტელობას, ვიწრო წოდებრივ ფარგალს არ შემოხაზავს ამ შემთხვევაში. ყველა იმერეთის ახალგაზდობა წოდებისა და სქესის განურჩევლათ, რომელიც კი ადგია სწავლა-განათლების გზას, სასოვებს, რომ ამ კაპიტალით შემწეობა არ მოაკლდება, რადგან ყოველი გამოზდილი ახალგაზდა გლეხისშვილი იქნება, თუ თავადის, ნამდვილ აზნაურობის წევრათ ხდება, თვით ცოდნა და სწავლა ხომ ძველი დროიდანვე საზნაურო ხელობათ არის ჩათვლილი და განათლება ყველას თანასწორათ ააზნაურებს. მაშასადამე იმერეთის სათავად-აზნაურო კაპიტალის შემოსავალი რადგან გადადებულა საზოგადოთ სწავლა-განათლებისათვის, მაშ მის შემწეობას არ უნდა მოაკლდეს არც ერთი ნიჭიერი და სწავლის გზაზე დამდგარი იმერელი ახალგაზდა წოდების განურჩევლათ. ბუნება ნიჭიერებაში წოდებრივ უპირატესობას არ აქცევს ყურადღებას. პროფესორი პეტრიაშვილი თუ გლეხისშვილია, მიტომ არ არის მეცნიერებით გააზნაურებული? რომელი თავადიშვილია, დამისახელებთ,

რომ იმაზე მეტათ ზრუნავდეს ჩვენი თავად-აზნაურობის და საზოგადოთ ჩვენი ერთი სიკეთისათვის. განა პროფესორი პეტრიაშვილი არ იყო, რომელმაც საუკეთესო აზრი გამოთქვა, თუ როგორ და რას უნდა მოხმარდეს ჩვენი წინაპრების მიერ ნაანდერძევი საერთო კაპიტალის შემოსავალი?... მე ვგონებ, ამის უარს ვერც ერთი იმერეთის კეთილშობილთაგანი ვერ იტყვის.

დავერჩენია მხოლოთ მოცუწოდოთ ყველა წევრებს, რომელნიც არიან არჩეულნი ამ საქმისათვის, რომ საჩქაროთ შეუდგენ მოქმედების პროგრამის შემუშავებას. ამისათვის საჭიროა იმათი მალე შეკრება ქ. ქუთაისს. ეთხოვეთ იმ წევრებს, რომელნიც უფრო ხშირათ ქუთაისში ცხოვრებენ, დანიშნონ დრო კამისიის სხდომებისათვის. იმათგან განცხადებას სიამოვნებით დავსტამბავთ გაზ. „კვალში“.

ერთი კამისიის წევრთაგანი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

მართლ-მაღიღებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების რჩევამ გადაწყვიტა თფილისის საეკლესიო მუზეუმში რომ არხეოლოგიური დოკუმენტებია ქართულ ენაზე, იმის დასაბეჭდათ გალიდვას ორასი თუმანი. ასი თუმანი უკვე მიეცა წელს და ასი თუმანი მომავალი წლისთვის დაინიშნა. ამ განზრახვით კომიტეტმა გადაწყვიტა გამოსცეს ძველი ხელნაწერების კრებული, რომ გააცნოს მეცნიერებას ქართული არხეოლოგია. პირველათ უნდა დაიბეჭდოს ცხოვრება წმიდა ნინოსი, წმიდის დიდი მოწამის ბარბარესი და ღვთის მშობლის ცხოვრება აკათისტებით.

რადგანაც მომავალ 12 ოქტ. (1901 წელს) შესრულდება ასი წელი, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ამის სახსოვრათ გადაწყვეტილია განიხილოს და მეცნიერულათ შემუშავდეს ძველი ხელნაწერები, რომელნიც შენახული არიან საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორის არხივში. ეს არხივი ღღემდის გაურჩეველი და შეუსწაველია. მის განსახილველათ დაინიშნა კამისია, რომლის წევრებათ არიან შემდეგი პირნი: კამისიის თავმჯდომარეთ აირჩიეს ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი, ხოლო წევრებათ ბ. ნატროშვილი, მღვდელი კარბელაშვილი და სემენარიის მასწავლებელი ბ. ფერაძე.

მომავალ პარიზის მსოფლიო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ შედგა რჩევა ქუთაისის და

თფილისის მემამულეთა წარმომადგენლებისა, რომელთაც ამოირჩიეს კამისია შემდეგი წევრებისაგან: თაემჯდომარე—თ. ლ. ჯანდიერი, წევრები—ბ. რ. ისარლიშვილი, თ. გ. დიასამიძე, ბ. ა. ბაქრაძე ბ. ი. ჯაბაღარი, ბ. ა. ნატროშვილი, ბ. ი. იოსელიანი, ბ. ა. ქუთათელაძე და ბ. ვ. ყიფიანი. ამათ დავალებული აქეთ მიიღონ მწარმოებლებისა და მემამულეებისაგან მინუშები გამოუყენისთვის, იკისრონ ყოველგვარი ხარჯი ამ მინუშების მ. საღებათ და პარიზში გასაგზავნათ და მიიღონ საიდანაც და ვისგანაც იქნება ფულები, თვით პარიზის გამოფენაზე ქართული განყოფილების გამგეო და წარმომადგენლათ დანაშნულია ბ. რ. ისარლიშვილი.

თფილისში ჩამოვიდა ბ. ნიკოლაევსკი, რომელიც გამოგზავნილია რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტისაგან. აქ უნდა გადაწყდეს, თუ როგორ უნდა შეიკრიბოს და გაიგზავნოს პარიზის გამოფენაზე ადგილობრივი ბუნების სიმდიდრის და წარმოების მინუშები. ბ. ნიკოლაევსკის თანა აქვს საჭირო დარიგებანი და აკრეფე პლანები იმ ადგილისა, რომელზედაც იქნება გამოფენილი კავკასიის მინუშები.

კვირას 25 აპრილს, თფილისში მოვიდნენ მთავარ-მმართველის მეუღლეს, კნ. მ. თ. გოლიცინისას და აგრეთვე თფილისის გუბერნატორის მოადგილეს პოლკოვნიკს ი. ნ. სეჩინს.


კავკასიის სამკურნალო საზოგადოების რჩევაზე 21 აპრილს არჩეული იყვნენ: საზოგადოების თაემჯდომარეთ—მ. ვ. ლუნკევიჩი, თაემჯდომარის თანაშეკრეთ—ტ. ი. რუდენკო და პირველ სეკრეტრათ—ე. გ. დელოვი. დანარჩენ გამგეობის წევრებათ ისევ წინანდელი წევრები დარჩენ.

პეტერბურლიდან მოსულა ცნობა, რომ თფილისის და ქუთაისის საბატონო მამულებზე გაწერილი გადასახადი სამი წლის განმავლობაში (1898 - 1900 წწ.) უკვე დამტკიცებულა ხელმოწიფე იმპერატორისაგან.

როგორც ქუთაისიდან ამავი მოვიდა, იქ შემდგარა განსაკუთრებით ინჟინერ-ტექნიკური კამისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს, რა მდგომარეობაშია ახლანდელ გზებზე მუშაობა და რა ახალი გზები ესაჭიროება ამ გუბერნიას.

სამტრედიდან ატყობინებენ, გაზეთ „ახ. მიმოხ.“

რომ იქაურმა მცხოვრებლებმა მთავრობისგან ითხოვეს ნება-რთვა დაარსონ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.



✓ „აკველის“ კორესპონდენციები.

ბათომი. აქ ამ ხანათ ნათის ექსპორტმა მოიმატა და მექარხნეებსაც დაქრდათ ჩეეულები იგზე მეტი მუშა ხალხი, მუშა კი აქ ყოველთვის ბევრია. ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებამ მუშა ხალხს სოფელი მიატოვებინა და ქალაქებისაკენ აქნეია პირი, სადაც სამუშაოს სანთლით დაეძებს, და თუ ვინმე კი მიაწოდებს, რა პირობითაც იყოს სულ ერთია, მაინც სინარულით აიღებს. მუშათა შორის კონკურენცია გაამწვაეა იმ გარემოებამაც, რომ სხვა და სხვა ტომის არიან.

იმერლებმა, გურულებმა და მეგრელებმა იგრძნეს თუ არა ახალი მოთხოვნილებათა შესამჩნევი ზრდა და ისიც, რომ მათი დაკმაყოფილება პატარა მიწას და ისიც ყოველ წელს წვენ ნადნს და გაცვეთილს არ შეუძლია, მანლობელ ქალაქს, ბათომს, მომართეს. პირველათ აქ მუშა ხალხი ცოტა იყო და ამიტომ ხელ-ფასიც დიდი იყო, მაგრამ მალე სხვებიც უკან გამოჰყვეენ პირველებს, ამათი საქმეც კარგათ მიდიოდა, სამუშაო მაინც ჰქონდათ. მაგრამ ჩქარა ასობით და ათასობით მიემატათ სხვა-და-სხვა ტომის მოჯიბრე მუშა ხალხი: სომეხი, თათარი, და სხ... რასაკვირველია, ქართველ მუშებსავით ღარიბ-ღატაკი, თანამედროვე ცხოვრებისაგან დასჯილი, უსახლ-კარო ბოგანოები,—რომლებსაც გაჭირვებამ მიატოვებინა ცოლ-შვილი, დედ-მამა, და-ძმანი, ტოლ ამხანაგი და ქართველების გვერდით დააყენა, ან, უკეთ რომ ეთქვათ, ქართველების მოპირდაპირეთ, კონკურენციის გამწვაეთ, მოჯიბრეთ.

ასე ამ ნაირათ თანამედროვე ცხოვრებამ ბათომშიაც მიიღო თავისი სახე: ქართველი, სომეხი, თათარი და სხ... ერთი-მეორეში აურ-დაურია და ყველას ერთათ არგუნა (განურჩეველათ, რასაკვირველია, ეროვნებისა და წოდებისა) ქალაქებში მუშაობა. უცქერის მექარხნე აღდნი სხვა-და-სხვა ტომის ღარიბ-ღატაკ ხალხს, და რასაკვირველია იათათაც ქირაობს და რატომ არ უნდა იქირაოს, როცა თვითონ მუშები ეხვეწებინან, ოღონდ კი დამიჭირე და რაც გინდა ის მომეციო. მუშები თვითონვე ეცილებინან ერთმანეთს და მათი მდგომარეობა მიწათან გასწორდა, როგორც ქონებრიეთ, ისე გონება-ზნეობრიეთაც, ამის მიზეზით მუშები აქ ეჩვევიან ქურდობას და სხვა ათას გვარ უწესობას, რასაც მთავრობამ უკვე ყურადღება მიაქცია და პოლიციის გაძლიერებას შეუდგა,

რომ ქურდობა, კაცის კვლა და სხვა ათას გვარ გაჭირვებისაგან ჩადენილი უწყისობა მოსპოს.

მხოლოდ სამკითხველოს, უფასო წარმოდგენების და მუშების სადგომი სახლებს დაარსება არაფერს უჭრადღებას არ იპყრობს აქ, ეს უფრო ქალაქის საბჭოს მოვალეობა უნდა იყოს და მას აქამდის ამაზე კრინტიც არ დაუძრავს, არ შემძლია აქვე კიდევ არ შეეხებო ბავშვების უკიდურეს მდგომარეობას. ოხ ღმერთო ჩემო! ნეტავ გიჩვენათ, ჩემო მკითხველო, ეს პატარა, „ახალ მოდის“ მუშები, მათი გამურული სახით, სიცოცხლეს მოკლებული, ჩაფარდნილი თვალყვით, დაუვარცხნელი თმით, დაფლეთილი ტანისამოსით, გაცვეთილი ფეხსაცმელებით, რომლიდანაც გასვრილი თითები მოუჩანათ!.. რა მოვლით შემდეგისათვის, რა უნდა გახდენ, როგორი იარაღით და რა ცოდნით უნდა გაუმკლავდენ ცხოვრებას მომავალში, როცა ქარხნების გაფუჭებულ ჰაერს მათი სიცოცხლის ლამპრის გაქრობა ახლავს დაუწყია? უპატრონო ბავშვები ცუდ წრეში ვარდებიან და ეჩვენებიან ყოველივე გარყენილობას: ორგულობას საქმეში, ტუტუცი სიტყვების წამოსროლას, თუთუნის წყევას, სამიკიტროში სიარულს, ღვინის სმას, ბანქას თამაშს და სხვა ათას გვარ მათი ზნეობა-გონების დამცემ საგნებს.

ნუ თუ დრო არ არის, რომ ბავშვებს მაინც მივაქციოთ ყურადღება და შესაფერი მფარველობა გავუწიოთ? ყოველი მხრიდან ისმის ლაპარაკი სახალხო განათლებასზე—განურჩევლათ ხნოვანებისა, — ზჩვენ რა გულქვაეები შევიქენით მისთანა, რომ ჩვენ ახალ თაობასაც, ბავშვებსაც არაფერ ყურადღებას არ ვაქცევთ, რომლებსაც რაც სახლიდან წამოჰყოლიათ ზნეობრივი და გონებრივი მხარე აქ ეკარგებათ და ყოველგვარ გაჭირვებაში ჩაფარდნილებს ადამიანის მზგავსებაც აკლდებათ.

დასჯილი.

სოფელი ამაღლება (გურია) სოფელი ამაღლება მდებარეობს გურის აღმოსავლეთით, მდინარე სუფსის ჩრდილოეთის მხრივ. ეს სოფელი არის ბუნებით დაჯილდოებული და კარგი ნაყოფიერი. მოდის სიმინდი, ღომი, ლობიო და სხვა. მცხოვრებნიც სხვებთან შედარებით ქონებრივად უკეთ ცხოვრობენ, მკვიდრნი რეფას კომოს შეადგენს. აქ ცხოვრობს უმეტესობა მესაკუთრე და აქა იქ სახელმწიფო გლეხები, მათ შორის არა მცირე რიცხვი აზნაური და სასულიერო წოდებისანი, ამათში ბევრს ნახავთ საშუალო სასწავლებლიდან განვითარებულებს, ხშირად შეხედებით გარეთ გასულ ახალგაზღვებს, სხვა და სხვა ქალაქების მოსამსახურებს თუ ზაფადისა და ფაბრიკის მუშებს. აქ არსებობს ერთი სამინისტრო ერთ კლასიანი

სასწავლებელი, და ერთიც სამრეწლო. ორივე სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი უდრის ორასს, თუმცა მსურველი სამჯერ მეტია თითქმის მთელ გურიაში ყველგან ორ კლასიანი სასწავლებლებია დამართული, აქ ერთ კლასიანს კიდევ ვერ გავცოდით. სამკითხველო და სხვა ამისთანა კეთილი დაწესებულება აქაურებს ჩინური ხურმა ჰგონიათ, ამაებზე არაფერ ზრუნავს. მართალია გეყავს ერთი მასწავლებელი, მაგრამ გადაჭრით უნდა მოგახსენოთ რომ ხალხის კეთილ დღეობისათვის თავს არ იცხელებს; ის საზოგადოთ მოდის კაცია და ამიტომაც ბანქას და ნარდს უფრო ეწყობა, ვინემ ბავშვებთან „თავის ტეხას“. აქაური მასწავლებლის ოთახი წარმოადგენს ტრაქტორს, სადაც ერთი მხრით გაისმის მწყობრათ წარმოთქმული „დაე—დავბასე“ და მეორე მხრით ზედ მიწყობილი, ხლუსტი—„კოზირის ხლუსტი“. თითონ მე არ მჯეროდა ეს ზღაპრული თქმულება ჩვენ მასწავლებლებზე, რომ ჩემი თვალით არ მენახა; მასწავლებელი ხშირად მთელ ღამეს ათენებს ბანქას და ნარდის თამაშობაში და მეორე დღეს მეთერთმეტე საათზე დაიწყებს ხოლმე მეცადინეობას. ვერც მამასახლისზე და მწერალზე ვიტყვი რამე სანუგეშოს. ამათ ტარიელ მკლავადის მოვალეობა უფრო ეხერხებათ ვინემ თავისი მოვალეობის შესრულება. დიდ პირებთან ჩვენი მამასახლისი, რასაკვირველია, მელიასავით ჩაცუცქდება, მარა თუ საწყალმა გლეხმა მიჰმართა რამეზე, ვაი იმ გლეხის ბრალი, თუ ბ.ნი მამასახლისი ცუდ გუნებაზე ბრძანდება, საქმის დაწერილებით გამოკითხვის ნაცვლათ „პოშოლ—დურაკ—ო“ დაუყვირებს, და ისეთ მრისხანე სახეს მიიღებს, რომ გლეხს შიშით დაეთარი ებნევა და სახლში ბრუნდება. სხვა რამეშიაც ჩვენ მამასახლის თითქმის პირველი ალაგა უჭირავს თურმე სხვა მამასახლისებში. მაგალითათ სოფელმა დააყენა კაცი მოხელეთ, ამ კაცს თუ სურს თანამდებობას თავი დანებოს საკმარისია მამასახლისის მიჰმართოს ცოტა რამ საჩუქრით და მოხელეობიდან თავისუფალი იქნება. ყველა ამაებთან ერთი კარგი თვისებაც აქვს ჩვენ მამასახლისს, საჩივრის ხელად ვარდაწყვეტა იცის, მაგალითათ, ერთი გლეხი უჩივის მეორეს ხარის დაჩხვას, მამასახლისი ჯერ აწონ დაწონავს მოჩივარ მოპასუხეს პირად ღირსებას, და რომელიც დაბალ ღობეთ აღმოჩნდება, ის თუ გინდ მართალიც იყვეს, კისერში წაკვრით გარეთ გამოავლებს, და ამით თავდება პრაოცესი. მამასახლისის ასეთმა რაინდულმა მოქმედებამ, ხალხში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია; ქათამმა ჩხრიკა ჩხრიკა და დანა გამოჩხრიკაო, ეუბნებიან ერთმანეთს. ვარჩიეთ ვარჩიეთ და ამოვარჩიეთ ჩვენი სულთამხუთავიო, არა, ჩვენ ისეთი ბედის ვართ, რომ ჩვენთან ცხვარიც კი გამგელდებაო! მამასახლისის შემდეგ უნდა მოვიხსენიო

მწერალი, ეს რასაკვირველია „ნასწავლი“ კაცია და აბა „ნასწავლი“ კაცი მედანს ტყუილათ დახარჯავს?! აცვია ჩოხა, ჩოხაზე წელზე დაკიდული აქვს საუკეთესო ხარისხის რევილოვერები, იქით და აქეთ ორორი ქისა, თავზე ბაშლული ცალი ყურით შემოხვეული აქვს და ცალს მიწაზე მიათრევს, დგას დოინჯ შემოდგმული და რაზედაც უნდა მიმართოთ, ის სიცილით, თამაშით და პირზე ღიმილით გისტუმრებთ, „საქმეში“ მას მოსე მწერალიც ვერ შეედრება. იმედია ბ-ნი მაზრის უფროსი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას, და, სხვა თუ არა, გზებს მაინც შეაკეთებებს.

გ — ლი.

შვიას — დას.

ქვემო იმერეთი. ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად იმატა ეკონომიურმა მოძრაობამ ქვემო იმერეთში და ხალხმაც ქონებრივად წელი განმართა. ამასთანავე მან არ დაივიწყა უმთავრესი საზრუნავი თანამედროვე ჩვენი მდგომარეობისა, სწავლა-განათლება, და ცდილობს რაც შეიძლება მეტი სკოლები დაიარსოს, რომ შეიღოს „ყრუთ“ არ დატოვოს. ასეთი წყურვილი სინათლისა უფრო შესამჩნევად გამოიხატა დ. ხონში და მის მიდამოებში. შარშანდელს აქეთ ხონში დააარსეს კერძო საქალბო ოთხკლასიანი პროგიმნაზია, სახელოსნო სასწავლებელი, რომლის შენობის საძირკველი უკვე ჩაყარეს, ნორმალური სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნა იანვრიდან ოთხკლასიან საქალბო სასწავლებლათ, ქალების ორკლასიანი სკოლა ოთხკლასიან სასწავლებლათ, დააარსეს პირველ დაწყებითი საეკლესიო სკოლა და სხვა. აგრეთვე აქა-იქ ქვემო იმერეთში გახსნეს სოფლებში სამინისტრო თუ სამრევლო სკოლები. უმთავრესათ ამ სკოლებში, მიუხედავად ლევიცკის ცნობილი მეთოდის გაბატონებისა, სწავლის საქმე კარგათ მიდის და მასწავლებლებიც ბეჯითათ ეკიდებიან თავის მოვალეობას. მასწავლებლები სამასწავლებლო სემინარიის კურს დამთავრებულნი, შეხედებით რამდენიმეს სასულიერო და სხვა უწყების სასწავლებელიდანაც. აქვე არ შეგვიძლია არ შევიხოთ სოფლის მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობას. მათი უდიდესი ჯამაგირი უკეთეს შემთხვევებში ბევრთ არაფრით აღემატება სამას (300) მანეთს. უფრო ხშირათ კი შეხედებით 150 მანათს და უფრო მცირე ჯამაგირსაც, უმეტესათ სამრევლო სკოლებში. რასაკვირველია ლაპარაკიც მეტია იმაზე, რომ აქედან მასწავლებელმა რაიმე გადაიჩინოს „შავი ღლისთვის“, როგორც რუსები იტყვიან. მას ამისთანა ჯამაგირი არ ჰყოფნის თავის გამოსაკვებათაც. მატერიალური მდგომარეობა მას ნებას არ აძლევს ოჯახი მოიპოვოს და თუ კი ცოლი შეირთო და შვილები

დაესია, ვაი იმისთანა სიცოცხლეს, რომელიც მისი ჩაფარდება. ამგვარ მდგომარეობაში იმყოფება კაცი განმანათლებლათ მოწოდებული! სამინისტრო კარგა ხანია ცდილობს რაიმე მოუხერხოს ამ არა ნორმალურ მდგომარეობას, მაგრამ ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა რა სოფლის მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ამისათვის არის, რომ თან და თან ტოვებენ ისინი თავიანთ პროფესიას და სხვა სამსახურში შედიან. ამ კითხვას კიდევ დაუბრუნდებით ჩვენ და ვეცდებით ის ფაქტებით დამტკიცოთ.

### სასიამოვნო ამბავი.

ერთ ჩვენ ქართველ სტუდენტს საინჟინერო ინსტიტუტისას, ს. ი. კანდელაკს, მოუხდენია დიდი გაუმჯობესება ტელეგრაფის მოწყობილობაში. მას წარუდგენია ეს თავისი გამოგონება სამანუფაქტურო და საეჭრო ტექნიკურ კამიტეტში გასაშინჯავათ და დასაფასებლათ. კამიტეტსაც ძალიან მოუწონებია ეს ახალი გამოგონება და, რადგან დიდი მნიშვნელობა ექნება ამ გამოგონებას სატელეგრაფო წარმოებაში, ამისთვის უპირატესობითაც დაუჯილდოვებია მას ჩეფი ახალგაზდა მეცნიერი. მისთვის მიუცია ჯილდოთ ამ ახალი სატელეგრაფო მოწყობილობის პრივილეგია, ესე იგი მის მეტს ნება არ ექნება სხვამ ვინმე ისარგებლოს ამ ტელეგრაფის მოწყობილობით. საქმე იმაშია, რომ აქამდის დეპეშებრს გადაცემაში ხშირათ შეცდომები ჰხდებოდა და ამბები გაუგებრათ მიდიოდა ხოლმე ერთი ტელეგრაფის სადგურიდან მეორე სადგურზე, რადგან ტელეგრაფისტი, როცა არაკუნებდა ტელეგრაფის მოწყობილობას, შესაფერი ზომიერებით ვერ აქერდა ხოლმე ხელს ფოლაქს და ამიტომ ხშირათ ერთი ასოს მაგიერათ მეორე ასო გამოუდიოდა. ჩვენმა ახალგაზდა მეცნიერმა, კანდელაკმა, თურმე ესეთა გაუმჯობესება შეიტანა ტელეგრაფის მოწყობილობის მანქანაში, რომ აწ ასეთი შეცდომა აღარ მოხდება დეპეშების გადაცემაში ტელეგრაფისტების უყურადღებობის გამო კანდელაკის სატელეგრაფო მანქანის მეოხებით დეპეშები უფრო დაუყოვნებლათაც წავლენ და შეუმცდარათაც. რადგან ამერიიდან კანდელაკს ეკუთვნის ამ მოგონების უპირატესობა და მისდა ნება დაურთველათ ვერაინ იხმარს ამ მისიერ ახალ გამოგონებას, ამისთვის თურმე ახლა დიდი ფულიანი კაცები ევაჭრებიან კანდელაკს, რომ ეს გამოგონება მიჰყიდოს. ჩვენი ახალგაზდა მეცნიერის წყალობით ამიერიდან სატელეგრაფო მოწყო-

ბილება კიდევ გაუმჯობესდება, დიდ სარგებლობას მოუტანს კაცობრიობას და თერთონ ახალგაზდა ჩვენი მეცნიერიც შეიძენს იმდენ ნივთიერ საშუალებას, რომ, იმედია, ჩვენდა სასახლოთ კიდევ ბევრი რამე შეჰძინოს კაცობრიობას საზოგადო განვითარების წინ წასაწევით.


ქალთა კითხვა.

ჩვენ ამ მოკლე წერილში აზრათ გვაქვს გავაცნოთ ქართველ მკითხველს ზოგიერთი მოსაზრებანი ქალთა ემანსიპაციაზე, რომელნიც ეკუთვნისთ ორ ცნობილ მწერალ-ქალთ: გერმანელ კლარა ცეტკინს და პოლონელ ელიზა ოქეშკოს. ამ მოსაზრებათა გაცნობა ჩვენთვის მით უფრო საინტერესოა, რომ ეს ორი მწერალი მიიწრაფიან ერთსა და იმავე მიზნსკენ — მამა-კაცის და დედა-კაცის უფლებათა გათანასწოებისაკენ, მხოლოდ ამის საშუალებათა დასახელებაში დიდათ განიჩევიან ერთი მეორისაგან. ასეთი განსხვავება აიხსნება პრინციპების სხვადასხვაობით, რომელთაც აღიარებს თვითოეული მათგანი. ელიზა ოქეშკო წარმოადგენს ისეთ მწერალს, რომელიც უყურებს თანამედროვე ცხოვრებას წარსული ცხოვრების თვალთანდებით ისრით; ის ცდილობს დაამყაროს „კაცთა შორის სათნობა“, მხოლოდ საშუალებებს ეძებს წარსულში; საზოგადოთ, ის უფრო ნატრობს სამართლიანობის დამყარებას, ვინემ ასახელებდეს ნამდვილი გზას ამის მისაღწევით. ჩივის კაცობრიობა გაიხრწნა და თუ დროზე არ ეუშველეთ, უფსკრულში გადავარდებო, - ერთი სიტყვით „нельзя на чужбине“, როგორც რუსები იტყვიან. ელიზა ოქეშკო გვისახავს ქალებს ძლიერ შევიწროებულათ, ყოველსავე ადამიანურ უფლებებს მოკლებულათ, მხოლოდ როდესაც დაეკითხებით სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზები, ის მიგითითებსთ ადამიანის ბუნებაზე. მისი აზრით, ადამიანის ბუნების შედეგა ის მოვლენა, რომ კაცობრიობა ერთ და იმავე დროს კიდევ იგნებს ბუნების უმწერვალეს კანონებს, ბადავს თანამედროვე ცივილიზაციას და კიდევ ფეხ-ქვეშ თელავს სულ უბრალო სამართლიანობას. კაცობრიობას აქვს დასახული სამი უმაღლესი იდეალი: ქვემარბიტება, სიკეთე და შეენიერება. წარსულ საუკუნეებში ქალებს შეეძლოთ მიეღწიათ მხოლოდ ორი უკანასკნელი იდეალისადმი, მაგრამ რაც შეეხება პირველ იდეალს — ქვემარბიტებას, — ამის შეგნება მათთვის შეუძლებლათ იყო აღსარებული. მე-XIX-ტე საუკუნეში ქალები არ კმაყოფილდებიან ამ ორი იდეალით, ისინი მიისწრაფიან განათლებისკენ, იძენენ მეცნიერე-

ბის სხვა და-სხვა დარგს; ცდილობენ შეიტანონ ცობრიობის გონებრივ საღაროში თავიანთი წვლილიც. ეს მიდრეკილება იმდენათ ძლიერია, რომ ქალებს, ოქეშკოს აზრით, სრულიად დაევიწყდათ ის ორი იდეალი (სიკეთე და შეენიერება), რომელნიც შეადგენდენ წარსულ საუკუნეებში მათი ბებების ცხოვრების დედა-აზრს. თუმცა შეილის შეილება გაასწრეს თავიანთ ბებებს ცოდნით, მაგრამ ზნეობრივათ ძლიერ დაქვეითდენ და უკან ჩამორჩენ. ამ გარემოებას თითქმის სასოწარკვეთილებაში მოჰყავს ქ-ნი ოქეშკო. ერთსა და იმავე დროს ასე ცოდნის ზრდა და ზნეობის დაქვეითება მა, არა ნორმალურათ მიჩნია და შიშობს, ვაი თუ ამას ცუდი შედეგი მოჰყვესო. რომ თავიდან ააცილოს კაცობრიობას ასეთი უსიამოვნო მდგომარეობა, ის მიმართავს მოწინავე ქალებს შემდეგი სიტყვებით: თქვენი უწინდესი მოვალეობა კაცობრიობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ აღადგინოთ სამართლიანობა, დაიხსნათ ადამიანი ზნეობრივ გათახსირებისაგან; დაუბრუნოთ დაზარულთ მათი უფლებები ლე ამართოთ თანასწორობის დროშა. ქრისტესაგან ნაანდერძევი მოყვასთა სიყვარული ვერ დაამყარეს მამა-კაცთა დევე-გმირებმა, მაშჯერი თქვენზე მოდგა და აბა თქვენ იცითო. ქ-ნი ოქეშკო მიუთითებს ქალებს ერთ უმთავრეს საშუალებაზე, რომელც შესაძლებელათ გახდის მათი მოვალეობის კეთილათ დავერგვინებას. ის ურჩევს ქალებს, რომ მათ დააარსონ კეთილ მოქმედების კავშირი (союз добродетели), რომელსაც მიზნათ ექნება უმთავრესათ წევრთა ზნეობრივი გაწრთენა.

როგორც ხედავს მკითხველი, ელიზა ოქეშკო მოგვეგონებს უფრო საშუალო — საუკუნოების მქადაგებელს, ვინემ თანამედროვე სწავლულს; ის ცდილობს მოახდინოს შთაბეჭდილება ჩვენ გრძნობაზე ლე არა გონებაზე; მისი მიზანია არა ცხოვრების ამა თუ იმ მარეების ახსნა, არამედ ნოტაციების კითხვა.

ახლა გადავიდეთ მეორე მწერალ ქალის დახასიათებაზე. კლარა ცეტკინი არის შეილო თანამედროვე ცხოვრებისა, რომლის შინაარს შეადგენს კაპიტალისტურა წეს წყობილება, გაბატონებული ამ ქამათ მთელ დასავლეთ ევროპაში. ის ცდილობს ცხოვრებიდან აღმოინაცუნ უსამართლობის წამალი ჰპოვოს ისევე ცხოვრებაში; ცდილობს რაც შეიძლება რეალურათ გაითვალისწინოს ისტორიული პროცესი და მისი მიდრეკილება; ცდილობს შეისწავლოს ის ქარიშხალნი, რომელნიც საუკუნოების განმავლობაში გამოუვლია კაცობრიობის უმეტეს ნაწილს და კერძოთ ქალებს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ცრემლი აფრქვიოს, იწუწუნოს, არამეთ მოემზადოს თანამედროვე ცხოვრებასთან საბრძოლველათ და მით დააჩქაროს



იმ ხანას დადგომა, რომელიც უნდა აღშენდეს კაპიტალისტურ ცარცვა-გლეჯის ნაგრევებზე. კლარა ცეტკინი ქალების ამა თუ იმ მდგომარეობას ამყარებს ეკონომიურ ნიადაგზე. მისი აზრით, მას შემდეგ რაც მატრიარხატი გაუქმდა, ქალების მდგომარეობა არაფრათ განიჩნეოდა უკანასკნელ მოწის მდგომარეობიდან. მისი არსებობა სრულიად დამოკიდებული იყო მამა-კაცის თვით-ნებობაზე. მაგრამ ქალის პოლიტიკურათ დამორჩილება იყო შედეგი მისი ეკონომიურათ დამორჩილებისა. მამა-კაცი მხოლოდ მაშინ აღიარებს დედა-კაცს თავის კერძო საკუთრებათ, როდესაც ამ უკანასკნელს წარმოების ძალის განვითარების შემწეობით შეუძლია იმდენი ნაყოფი გამოაღებოს თავის შრომას, რომ დააკმაყოფილოს არა მარტო საკუთარი მოთხოვნილება, არამედ თავისი მეპატრონესიც კი. მაგრამ ცხოვრება ერთ ღონეზე როდი დგას, ის მუდამ ცვლილებაშია. ერთი ეკონომიურა ხანა უთმობს ადგილს მეორეს, ამის და მიხედვით იცვლება სხვა მხარეებიც. თანამედროვე ხანა წარმოადგენს სრულ წინააღმდეგობას წარსულ ხანასთან შედარებით. პატრიარქალური ოჯახი, რომელიც იყო აშენებული ნატურალურ წარმოებაზე, უკვე ჩაბარდა ისტორიას. ამ უკანასკნელის ადგილი დაიჭირა კაპიტალისტურმა წარმოებამ და მით სამუდამოთ დაიმსხვრა ძველებური კარ-ჩაკეტილობის ჯაჭვითელი ოჯახი იქნა განდევნილი სოფლიდან ქალაქში. მას დარჩენია იცხოვროს დღიური ქირით, რომელსაც აძლევენ სხვა-და სხვა ფაბრიკები. ამას თან მოჰყვა ის შედეგი, რომ ქალს ოჯახში არაფერი საქმე არ დარჩენია, ის იძულებულია უმეტესი დრო ფაბრიკებში ატაროს. ქალი განთავისუფლდა ქმრის ბატონობისაგან, მაგრამ ვაი ამისთანა განთავისუფლებას, ის ჩაეარდა კაპიტალისტის ძლიერ კლანჭებში. მისი მოვალეობა ოჯახის წინაშე გაუქმდა, მხოლოდ კაპიტალისტის წინაშე თანდათან რთულდება. ამის მიხედვით ქალის იდეოლოგიაც გამოიცვალა. მისი შეხედულება წინეთ ვიწრო ოჯახს ვერ განშორდებოდა, ის შეადგენდა ყოველთვის კონსერვატიულ ელემენტს კაპიტალიზმის ცხოვრებაში. მისი გონებრივი საგზაული ძლიერ ვიწრო ფარგალში იყო მომწყვდეული, რის გამოც მას იშვიათათ შეტკიოდა გული საზოგადო საქმეზე; მისთვის გაუგებარი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობა. მაგრამ დრონი იცვალენ. ქალის ასპარეზი ოჯახიდან საზოგადოებაში გადადის; მისი ნივთიერი მდგომარეობა ახლა სრულიად წააგავს მამაკაცის ნივთიერ მდგომარეობას, — ისინი ორივე არიან ჩაყენებულნი ერთ-გვარ პირობებში, მხოლოდ მზგავსი პირობები იწვევენ მზგავს-მოვლენას: დედა-კაცის და მამა-კაცის ინტერესები ჰკარგავენ სხვა-და-სხვა-

ბას, ჰქრება მათ შორის ანტაგონიზმი; ისინი უცხადებენ ერთმანეთს სრულ თანაგრძობას; იგებენ, რომ მათი უკადურესი მდგომარეობის მიხედვით არიან თანამედროვე წარმოების ძალა და აქედან მომდინარე წარმოებრივი დამოკიდებულებანი.

საინტერესოა აგრეთვე კლარა ცეტკინის აზრი საშუალო აღზრდაზე. გასულმა საუკუნეებმა, ამბობს ცეტკინი, გადმოგვცა ჩვენ სხვათა შორის ერთი შეხედულება, რომელიც თითქმის შეურყეველათ დარჩენილა დღემდის, თუმცა მიხედვით, რომელთა შედეგს შეადგენს ის ან უკვე გაჰქრენ და ან საცაა გაჰქრებიან, — ეს არის მოვალეობა ქალისა, როგორც დედისა. ამ შეხედულებით შეიღების აღზრდა ქალის უპირველეს მოვალეობას შეადგენს. თანამედროვე ცხოვრებამ ისეთ პირობებში ჩააყენა ქალი, რომ მას არ შეუძლიან ეს მოვალეობა პირ-ნათლათ ასრულოს; ის იძულებულია მიუგდოს თითო ბავში სხვა-და-სხვა პირთ, სქესის და წლოვანების განურჩევლათ, თითონ კი გარბის ფაბრიკაში ლუკმა პურის საშოვნელათ, მხოლოდ დედის ასეთი ქცევა იწვევს ბავშვის ფიზიკურ დამახინჯებას. ჯერ ვიგინდარების ხელში კი არა, თვითონ დედამაც რომ იკისროს შეილის აღზრდა, მაშინაც შეუძლებელია აღზრდის რიგინათ წაყენა სხვა-და-სხვა დამბრკოლებელ მიხედვების გამო. მაგრამ რაკი დედა ისეთ პირობებშია, რომ არ ძალუძს შეილის აღზრდა, ამიტომ საჭიროა ეს მას სრულიად მოშორდეს და აღზრდა საზოგადოებამ იკისროს.

ყოველივე ზევით ნათქვამს შემდეგ საჭიროა ეიცოდეთ თუ სად ჰპოვებს კლარა ცეტკინი ქალების ეკონომიურ-პოლიტიკურათ განთავისუფლების საშუალებას. ეს საშუალება, მისი აზრით, მდგომარეობს კლასიურ ბრძოლაში, რომელიც თან-და-თან მწვავედება დასავლეთ ევროპაში. ამ გვართ ქალების კითხვა უნდა იქნეს მჭიდროთ შეკავშირებული მუშების კითხვასთან, რადგანაც ორივე ისინი არიან შედეგი ერთ და იმავე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობისა. მაშასადამე ქალებმა უნდა დააარსონ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც მიღებულია მამაკაცთ პროლეტარიატებთა შორის; ამართონ მამაკაცებთან ერთათ დროში, რომელიც შრომის ემბლემათ უნდა იქნეს დასახული და საერთო ძალით მიიტანონ იერიში კაპიტალზე კლარა ცეტკინი სრულიად არივიწყებს იმ გარემოებას, რომ ქალები მოკლებულნი არიან იმ მცარე უფლებებსაც კი, რომლებიც მიანიჭა კლასიურმა ბრძოლამ მუშა-კაცთ; პირ-იქით ამბობს, რომ ქალები ეკონომიურათ გაუთანასწორდენ მამა-კაცთ. მხოლოდ პოლიტიკურათ მათი უფლებები თითქმის ისევ ძველებურათ არის შევიწროებუ-

...მისი აზრით...



ზანგების ქორწილი ამერიკაში.



ლიო. ამ აზრით ხელმძღვანელობს ის, როდესაც აზრობს, ქალები მეხუთე წოდებას წარმოადგენენო. მიუხედავად ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკურათ ასეთი უთანასწორობისა, მათი სამუდამო განთავისუფლება შესაძლებელია, ცეტკინის აზრით, მხოლოდ მაშინ, როდესაც შრომის პირობები ერთიანად შეიცვლება. აი, აქ უნდა გაიხსნას ის კენძი, რომელიც საუკუნოების განმავლობაში განასკულა.

აი, საზოგადო მკრთალი ფიზიონომია იმ ორ მწერალ-ქალთა, რომელიც უნდა გაგვეცნო დაპირებისამებრ ქართველ მკითხველისთვის. ამას შემდეგ ჩვენ აღვიღათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რომელ მეცნიერულ სკოლას ეკუთვნის თვითოეული ამ ორ-მწერალთაგანი. კლარა ცეტკინი ეკუთვნის ეკონომიურ სკოლას, ელიზა ორფეშკო-ვტიკურს. ამ ორ ქალთა მოძღვრებათა შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი ახალია, მეორე-კი ძველი; პირველი სახავეს თანამედროვე ცხოვრების საძირკვლათ ეკონომიურ ფაქტორს, მეორე—იდეოლოგიას: ის, რაც პირველისთვის შედეგია—მეორესთვის მიზეზათ არის აღსარებული; პირველი ნამდვილი კანონიერა შეილია თანამედროვე კაპიტალისტურ ხანასი, მეორე-კი უკანონო, დღენაკლები, თუ შეიძლება ასე ითქვას;—ამისდა მიხედვით პირველი თან-და-თან ღონიერდება, მეორე კი საცაასულს დაღვეს. უმთავრესი განსხვავება ჯერ მაინც არ გვითქვამს. იგი მდგომარეობს იმაში, რომ პირველის მოძღვრების მიზანია თანამედროვე კაპიტალისტურ წეს-წყობილების პრინციპიალური უარ-ყოფა, მეორე-კი უარ-ჰყოფს მხოლოდ ნახევრათ. პირველი ამბობს: დასავლეთ ევროპის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი უკადურეს მდგომარეობაში არის ჩაყენებული; პოლიტიკურათ ამ თვალ-უწვდენელ მუშათა გროვას ამოდებული აქვს აღვირი, რომელიც ხელში უჭირავს უმცირესობას, — ეს აღვირი კი კაპიტალია; მაშ გავუშართოთ ბრძოლა ჯერ ჩვენი გაჭირვების მიზეზს — კაპიტალს და, თუ მისი ბატონობიდან განთავისუფლდით, მაშინ პოლიტიკურათაც თავისუფალნი ვიქნებითო. მეორე ამბობს: სრულიად უნაყოფოა კაპიტალთან ბრძოლა; მისი შერყევა შეუძლებელია, როგორც რომელიმე ფაზიკური მოვლენისა; ის მომდინარეობს ადამიანის ბუნების მიდრეკალებიდან, — მაშასადამე კაპიტალისტური ხანა უნდა ჩაითვალოს სრულიად კანონიერათ და უცვლელათ; ჩვენ ვეცადოთ მხოლოდ ხალხს უფლებები დაუბრუნოთ, — ეს კა შესაძლებელია, თუ კი ჩვენ მორალურათ განვსპეტაკდებით, განვახლდებითო.

ქ ა ლ ი

შული გიღელავს ზღვასავით, აგორებს ტალია-ზვირთებსა, სპეტაკ ლაწვებსზე აცურებს მომხიბლოლ მარგალიტებსა. ზეცას შეჰყურებ შეფრქვევით, სიტურფით ჩრდილავ მთვარესა, და, ქვეყანაზე ფეხ მდგომი, აშვენებ არე-მარესა! ყვავილთა გუნდში ტრიალებ, აგროვებ თაიგულებსა; ხან ჩაფიქრებით დაჰყურებ მინდორ-ველს დაქარგულებსა. ფეხ ქვეშ გეგება ყვავილი, სურვილით დაგემოვნება.



მაგრამ ვინ იცის, ქალწულო, ერსკენ ჰქრის შენი გონება?... ერთხელ შევნიშნე, რომ ცაში ვარსკვლავი ანთებულნიყო და შენ საძებრათ ქვეყნათა სხივებუ გადმოსულიყო. — ბაღში გიპოვეს სხივებმა, პირზე ღიმილი გიკრთოდა და ვარდს რომ წყვეტდი, იმ წამში გლახ-გული ვნებით გითრთოდა... და როცა სხივებს შეჰხედე, შეფრქვევით შეტბი... გიამა... სიტყვა თქვი, ყური ვერ მოვკარ, შორს გაიტაცა ნიავმა!.. სახეზე ნაზი ღიმილი ვარდის ფრათ გადაგუფინა; რა სიტყვა იყო ის სიტყვა, ნეტავი გამაგებინა!.. ქალწულო, გული გიღელავს, აგორებს ტალია-ზვირთებსა... ნეტავ ვიცოდე, იმ სიტყვით გულში ცეცხლს სად, ვინ ინთებსა?!

ა. ჩხენკელი.

ქ. კეკელიძე.

დ. თამაშვილი.



შარშანდელი „ჯეჯილი“-ს კრიტიკასი.

(დასასრული \*)

შესანიშნავი პირების ბიოგრაფიაში ბოცვაძე ყველაზე მეტ მნიშვნელობას ბავშვებისათვის იმგვარ ცნობებს აძლევს, რომლებიც გვატყობიებენ შესანიშნავი პირის ბეჯითობას, გულ კეთილობას და სხვ.

„პატარა მკითხველებმა ამ მხრივ უნდა გამოიჩინონ მიმბაძველობა“. ბევრნაირი აზრი არსებობს შესანიშნავი პირების ბიოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ. ბ. ბოცვაძეს ვეთანხმებით, რომ ბავშვი მიმბაძველობის ინსტინქტი ძლიერია, სხვა და სხვა მისაბაძევი მაგალითები ბიოგრაფიებში პატარა მკითხველზე გავლენას იქონიებენ, მაგრამ იმდენს კი არა, როგორც ბოცვაძეს ჰგონია. თუ ბავში ცუდმა აღზრდამ და მემკვიდრეობამ გააზარმაცა, ათასი უჩაჩინო: პატარა კოლუმბი, პატარა გარიბალდი ბეჯათი იყვნენ, ამითი მას ვერ გააბეჯითებთ. ამგვარ მაგალითებს შეუძლია სარგებლობის მოტანა მხოლოდ მაშინ, როცა რიგიანი აღზრდა და მემკვიდრეობა მას ხელს უწყობს. თუ უკანასკნელი პირობები დაცული არ არიან, მაშინ ამგვარ ბიოგრაფიულ ცნობებს არაერთარი მნიშვნელობა არ ექნებათ. როცა უმთავრესი ყურადღება აღზრდას ექნება მიქცეული, მაშინ მისაბაძევი მაგალითებიც ჰკარგავენ ნიადაგს ბავშვის ბუნებაში. ბიოგრაფიის უმთავრესი მნიშვნელობა არც ამაშია. ბიოგრაფიების დახმარებით აღმზრდელმა უნდა ჩაუნერგოს ბავშვს ის აზრი, რომ ადამიანის ღირსებისათვის მართო სმა-ჭამა და ძილი კი არ არის საჭირო, არამედ შრომა თავისთვის და სხვისთვის. გარდა ამისა ყოველი გონება გახსნილი ადამიანი ზნეობრივად ვალდებულია იცნობდეს იმ პირებს, რომლებმაც შესამჩნევი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას; ამგვარი შრომა კი შესაფერისია ბავშვის გონებისათვის. დასასრულ, როდესაც ბავში რომელიმე შესანიშნავი პირის ბიოგრაფიას კითხულობს, უსათუოთ შეიძენს ცოტადენ ცოდნას ისტორიიდან, ან მეცნიერებიდან. მაგალითათ: როცა ბავში კითხულობს კოპერნიკის ბიოგრაფიას, ის გაიგებს რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს; გლადსტონის ბიოგრაფიიდან გაიცნობს ინგლისსა და მის ცხოვრებას და სხვ. ბიოგრაფია წახალისებს უმაწვილს და ამგვარი ცოდნის შეძენას ვაუადვილებს; ეს კი ფრიად სასარგებლოა.


ბ. ბოცვაძე გაკვრით ეხება ფიზიოლოგიურ წერილებსაც. პირველ წერილში კითხულობს: ყოველ გვარი სიცოცხლის უკანასკნელი მიწები ჩვენ დედამიწაზე არის მზეო, არ მოწონს და ამბობს: „ეთქვათ, ვგ ყველა კარგია, მაგრამ ფრიად განყენებულათ არის

ნათქვამი, თითქოს დაჯერების მეტი არაფერია საჭიროვო“. ეს „ეთქვათ“ აი რას ნიშნავს, მკითხველო, ტყუილია, ვითომ ყოველგვარი სიცოცხლის უკანასკნელი მიწები დედამიწაზე მზე იყოს, მაგრამ, მართალიც რომ იყოს, განყენებულათ არის ნათქვამიო. რომ ბ. ბოცვაძე ამ აზრის არის, ამას ქვემოთაც დაეინახეთ. თუ ყოველი სამეცნიერო წერილის მხოლოდ თავსა და ბოლოს წაიკითხავთ, ბ. ბოცვაძე, რასაკვირველია, დასკვნა ყოველთვის განყენებულათ გეჩვენებათ; თვარა მთელი პირველი წერილი მხოლოდ ამ აზრის დამტკიცებაა, მეტი არაფერი. იქ აწერილია, რომ ცხოველებს უმცენარეთ სიცოცხლე არ შეუძლიათ, მცენარეებს უმშუოთ; აქედან ყველასათვის ცხადია, რომ უმშუოთ დედამიწის ზურგზე სიცოცხლე წარმოუდგენელია. ბ. ბოცვაძემ მზიდან დაიწყო და შემდეგ ერთბაშით შემოგვაჩინა: სიცოცხლე რთული საგანია; ჩემი თუ არ გჯერათ. აი ავტორიტეტო. ავტორიტეტის სიტყვები მოჰკავს ბოცვაძეს და გვიმტკიცებს: აი, სიცოცხლე რა რთული მოვლენა ყოფილა: შენი ფიქრით კა მისი მიწები მზე არისო! აბა კრიტიკაც ამას ჰქვია! ერთი მიბრძანეთ, ბ. ბოცვაძე, რისთვის ან ვისთვის დაჯერდეთ მისი მტკიცება, რომ სიცოცხლე რთული მოვლენაა? ამის წინააღმდეგი რა ნახეთ პირველ ფიზიოლოგიურ წერილში? თქვე დოლოცილო, „ივერია“ კიდევ მოგიცდიდათ და ჯერ თქვენ თვითონ რომ გაეგვოთ, რასაც კითხულობდით და არჩევდით, საკუთარ რიტორიკაში გზა აღარ დაგებნებოდათ. როგორც ზემოთ დაეინახეთ, ბოცვაძეს არ სჯერა, რომ დედამიწის ზურგზე სიცოცხლის საბოლოო მიწები მზე არის, მაგრამ თავისი ურწმუნოება პირდაპირ ვერ აღიარა; ვაი თუ სიცრუე გამოდგესო. გადაჩხრიკა ლეგროკლერკი და ამოიკათხა: სიცოცხლე რთული მოვლენა არისო და გაკეისწორა შეცდომა. ცოტა რომ დაფიქრებულყო ბ. ბოცვაძე, ლეგროკლერკის შეწუხება აღარ დაჭირდებოდა, ჩვენც მას ლოლიკაში და ელემენტალური სამეცნიერო ქეშმარიტების ცოდნაში ეჭვი არ შეგვეპარებოდა.

ბოცვაძემ ლეგროკლერკის ავტორიტეტით შეგვაშინა, მაგრამ ტყუილა გაისარჯა და ავტორიტეტის სიტყვებიც ვერ გაიგო. ავტორიტეტს ჩვენც გამოვჩხრეკდით როგორმე, შეიძლება უკეთესსაც, ვიდრე ბოცვაძე, რომელსაც ყოველი პროფესორი ავტორიტეტი ჰგონია, მაგრამ ზემოთ მოყვანილი აზრი, რომლის ქეშმარიტებაში ბოცვაძეს ეჭვი შეჰპარვია, იმდენათ ცხადია ყველასთვის, რომ მისი მტკიცება და ავტორიტეტების შეწუხება სწორეთ სამარცხვინოთ მიკვაჩინია.

როდესაც ბ. ბოცვაძე ლექსებსა და მოთხრობებს არჩევს, უმთავრეს ყურადღებას გრამატიკას აქ-


\*) იხ. „კვალი“ № 16



ცვეს, დანარჩენის დასათესებლათ კი ცხონებული სუმაროკოეის კლასიფიკაციით ხელმძღვანელობს. სხვა და სხვა პოეტურ ნაწარმოებს სუმაროკოეი რამდენსამე რიგათ ჰყოფდა: ერთს უწოდებდა შვენიერს, მეორეს ფრიალ კარგს, მესამეს კარგს და ბოლო რიგში ათავსებდა ისეთ თხზულებებს, რომელთა შესახებაც სათქმელი არაფერი მაქვსო. ბოცვაძეც ასე ირჯება: ზოგს უწოდებს ძალიან კარგს, ზოგს „რიგიანია“, „არა უშავსრა“ და სხვ. თუმცა ბ. ბოცვაძე პირდაპირ არ გვცნადებს, მაგრამ „ჯეჯილის“ VII და VIII ნომრის გარჩევა გვიმტკიცებს, რომ თარგმანებს ის ძალიან ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს. რატომ? იმიტომ რომ თარგმანებში ქართული ბუნება ზე ქართული სახელები არ არის! ნუ თუ რობინზონს, ანდერსენის ზღაპრებს ზე სხვ. ქართველი ბავშებისათვის არაერთარი მნიშვნელობა არ ექნება? ნუთუ ასე ძნელი ასახსნელია ბავშვისათვის, რომ უცხოელები სხვანაირ სახელებს ხმარობენ, ეღრე ჩვენ? ამის მიხედვით ბოცვაძე კიცხავს „პატარა პუმის თავგადასავალს“, რადგანაც იქ სულ უცხო სახელებია გარდა მარინესი. ვინც ეს მოთხრობა დაწერა, რომ ცოდნოდა ქართველი კრიტიკოსის აზრებულნი ხასიათი, უსათუოთ ქართულ სახელებსაც დაარქმევდა თავის გმირებს! კიდევ მაღლობა ღმერთს, რომ ერთს მაინც დაარქვა მარინე; მაგრამ ავტორს გასამართლებელი საბუთი აქვს. ის უსათუოთ ფიქრობდა: ქართველ პედაგოგებში არ ექნება ისეთი ლაყეთაგანი, რომ ყმაწვილებს ვერ აუხსნას, პუმი და ფრიმანი ადამიანებს ჰქვია, თუ კატებსო. ბოცვაძის სიტყვებით ამ მოთხრობაში არც ერთი რიგიანი ტიპი არ არის გამოყვანილი. ეტყობა, მას მოთხრობა მხოლოდ გადაუთვალისწინებია თვარა დარწმუნდებოდა, რომ პუმი ნამდვილი ტიპია და მოთხრობის ერთი უმთავრესი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ პუმი საუცხოოთ არის დახასიათებული: ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მოძრაობა ახასიათებს ექვსი წლის ბავშს. მეორე ღირსება მოთხრობისა მისი ცოცხალი ენა და აღწერილობაა; მართო ეს საკმარისია, რომ ის ბავშებისათვის შესაფერ მოთხრობათ ეცნოთ. თუ ეს უკანასკნელი ღირსება ქართულათ ნაკლებათ არის დაკული, ეს მთარგმნელის ბრალია და არა ავტორის. მოთხრობა ფრანგულიდან არის თარგმნილი და ასე ცოცხლ მოთხრობას საყმაწვილო ლიტერატურაში იშვიათათ შეხედებით. ქართული თარგმანის მიხედვით მისი ვაკიცხვა მოუფიქრებელ საქციელათ მიგვაჩნია: ვინც დედანს თარგმანთ აფასებს, მას ძალიან დიდა სიტუბილე მართებს.

ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ სიტყვა გაგივიტყველდა, მაგრამ სანამ დაეპოლოვდეთ,

საქიროთ მიგვაჩნია, მკითხველს ჩვენი აზრი გაუფიხაროთ საყმაწვილო ჟურნალის შინაარსის შესახებ. სხვა ქვეყნებში, სადაც მკითხველი ბევრია, შესაძლებელია და საქიროც არის რამდენიმე საყმაწვილო ჟურნალის არსებობა: ზოგი უფრო პატარა ბავშებისათვის არის დანიშნული, ზოგი უფრო მოზრდილი ყმაწვილებისათვის და სხვ. ჩვენში კი ჯერჯერობით ერთმა საყმაწვილო ჟურნალმაც თუ იხიერა, ესეც დიდი ამბავია. ამიტომ ჩვენი საყმაწვილო ჟურნალი იძულებულია, ყველა წლოვანების ბავშვი დააკმაყოფილოს რეწულიდან მოკიდებული თოთხმეტ წლამდე. რა მიზანს უნდა მისდევდეს საყმაწვილო ჟურნალი? მან ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების აღზრდას და განათლებას; ამიტომ შინაარსიც მიზნის შესაფერი უნდა ჰქონდეს. ბავშვის აღზრდაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შთაგონებას და მიმბაძველობას; ხოლო ჩვენ აქ ჰიპნოტიური შთაგონება არა გვაქვს სახეში. გიუიოს და ვუნდტის განმარტებათ შთაგონება არის ისეთი რწმენის გადაცემა, რომლის მოტივებიც ჩვენგან დაფარულია და რომელიც განხორციელებისაკენ მიისწრაფის. ცნობილია, რომ მიმბაძველობა ბავშვის ბუნებაში ძალიან არის განვითარებული; ის ცდილობს ყოველი მაგალითის წაბაძვას; ყოველგვარი რწმენა იმორჩილებს მას, მით უმეტეს, რომ მოტივების გაორკვევა და აწონდაწონა ბავშს არ შეუძლია; ყოველ ამგვარ რწმენას ბავშვისათვის შთაგონების ხასიათი ექნება, მაგრამ ეს შთაგონება უბრალო დარიგებაში, ან დასჯაში არ უნდა იხატებოდეს. საყმაწვილო ლიტერატურა არის მძლავრი საშუალება, რომელიც შთაგონებით მოქმედობს ბავშვზე; შთაგონებას კი შედეგათ მოსდევს მიმბაძველობა. საყმაწვილო ჟურნალში შთაგონება ხელოვნურ ფორმაში უნდა იყოს ჩამოსხმული; მისი შინაარსიც სამ ნაწილათ უნდა იყოს დაყოფილი: I მოთხრობები, ლექსები, იგავეები და ზღაპრები. ამ ნაწილს შეუძლია, შთაგონებით იმოქმედოს ბავშვზე ზე მის აღზრდას ხელი შეუწყოს. პირველი ნაწილის ყოველი ნაწარმოები მარტივათ და ადვილ-გასაგებათ უნდა უხატავდეს ბავშს ისეთ მაგალითებს, რომლებსაც მან ან უნდა წაბაძოს, ან არა. ჩვენ საქიროთ მიგვაჩნია, რომ საყმაწვილო მოთხრობები მკირეოდნათ ტენდენციოზური იყოს; ხოლო ტენდენცია ისე არ გვემის, ვითომ ავტორმა თვითონ უნდა შეთხზას ის, რაც ცხოვრებაში შეუძლებელია. ყოველი მოთხრობა, რომელიც ისეთ სურათს ხატავს, რაც ცხოვრებაში ხდება, მაგრამ იშვიათათ, — ტიპს არ შეადგენს, ტენდენციის ელემენტებს შეცავს უსათუოთ. როდესაც ბელლეტრისტი არა ტიპიურ სურათს გვიხატავს, მას ვერ გავამართლებთ, რადგანაც ბელლე-



ტრისტიკის მიზანი დიდი ადამიანის აღზრდა სრული-  
ადაც არ არის; საყმაწვილო მოთხოვნების ავტორმა  
კი უსათუოთ უნდა ხატოს ცხოვრებიდან იმ გვარი  
არა ტიპიური სურათებიც, რომლებსაც შეუძლიათ,  
ბავშვის აღზრდაზე გავლენა იქონიონ. რეაქციის ყმა-  
წვილს სანამ ლიტერატურით აღზრდიდეთ, ჯერ კი-  
თხეა უნდა შეაყვაროთ, განყენებულათ აზროვნებას  
შეაჩვიოთ. ამიტომ საყმაწვილო ჟურნალმა ალაგი  
უნდა დაუთმოს ისეთ მოთხოვნებსაც, რომლების  
უმთავრესი ღირსება ცოცხალი ენა და სახალისო სურ-  
ათებია. მოთხოვნას შეუძლია, მეცნიერული ცოდ-  
ნაც შეძინოს ბავშვს; ამის მაგალითს გვიჩვენებს ეაჟა-  
ფშაველას ზოგიერთი საყმაწვილო მოთხოვნა.

მე-II ნაწილი საყმაწვილო ჟურნალისა უნდა  
შეიცავდეს: ისტორიას, ეტნოგრაფიას, მოგზაურობას  
და ბიოგრაფიას. ამ ნაწილს ექნება ორგვარი მნიშე-  
ნელობა: ერთა მხრით უჩვენებს ბავშვს წასაბაძევ ან  
გასაკიცხ მაგალითებს, მეორე მხრე სხვა-და-სხვა  
საჭირო და ელემენტალურ ცოდნას შეძენს.

მე III ნაწილი დათმობილი უნდა ჰქონდეს ბუნე-  
ბის მეტყველებას: ბოტანიკას, ზოოლოგიას, ფიზიო-  
ლოგიას, ასტრონომიას, მარტივ ფიზიკურ კანონებს  
და გეოლოგიას. მესამე ნაწილის მნიშვნელობა მხო-  
ლოთ ის იქნება, რომ ბავშვს სხვა-და-სხვა ელემენტა-  
ლური ცოდნა შეძინოს. საყმაწვილო ჟურნალი უნდა  
აძლევდეს ბავშვს ჭეშმარიტ ცოდნას, მასში არ უნდა  
ჰქონდეს ალაგი დათმობილი არაფერს, რაც მართო  
რწმენაზე არის დამყარებული; კრიტიკას და სკეპტი-  
ციზმს ბავშვის ბუნებაში კი არ უნდა ვაზომოდეთ, არა-  
მედ უნდა ვავითარებდეთ. ამიტომ, როდესაც საყმა-  
წვილო ჟურნალი ძველი თუ ახალი სასულიერო პი-  
რების და მოღვაწეების ბიოგრაფიებს აწვდის ყმაწვი-  
ლებს, მათი ცხოვრების სინამდვილე და ბუნებრიობა  
უნდა იყოს დაცული. ჩვენ მიზანს ის უნდა შეად-  
გენდეს, რომ საშუალო სასწავლებლებში საღმრთო  
რჯულის სწავლება ისე წარმოებდეს ჩვენში, როგორც  
საზღვარ გარეთ როდესაც ამ მიზანს საყმაწვილო ჟურ-  
ნალი იეწყებს, სარგებლობის მაკიერ ზარალი მოაქვს  
ბავშვისათვის.

ქალების ემანსიპაციის საშინელი მტრებიც კი  
აღიარებენ, ბავშვის აღზრდა და პირველ დაწვებით  
განათლება ქალს უფრო შეუძლია, ვიდრე მამაკაცსო.  
საუკეთესო ასპარეზს ამ მხრივ ჩვენი ქალებისათვის  
საყმაწვილო ჟურნალი უნდა წარმოადგენდეს. „ჯე-  
ჯილში“ კი ქალები ძალიან მცირე მონაწილეობას  
იღებდენ აქამდის. რას უნდა მივაწეროთ ეს გარემოება?  
ერთი მხრით სიზარმაცეს, მეორე მხრით იმ გარემოე-  
ბას, რომ საყმაწვილო ჟურნალის სარგებლობა შეგ-  
ნებული არა გვაქვს. რასაკვირველია, კარგი მოთხო-

ბებისა და ლექსების დაწერას საამისო ნიჭი უნდა,  
რომლის უქონლობისათვის ვერავის ვერ გავკიცხავთ,  
მაგრამ დანარჩენი მასალის მიწოდებისათვის მხოლოდ  
სურვილი, საქმის სიყვარული და სარგებლობის შეგ-  
ნებაა საჭირო. ანდერსენის ზღაპრების გადმოთარგმნა  
არც ერთი ქალისათვის არ შეადგენს საძნელო საქ-  
მეს, რომელიც კი რუსულში გავარჯიშებულა. მო-  
გზაურობის, ეტნოგრაფიული წერილების გადმოთარ-  
გმნას, კომპილაციურათ მოკლე ბიოგრაფიების, ასტ-  
რონომიული, ზოოლოგიური და სხვ. წერილების შე-  
დგენას ყოველი ქალი შეიძლება, რომელსაც კი სა-  
შუალო სასწავლებელი გაუთავებია. ამგვარი შრომა  
ჩვენში ბევრ ქალს შეუძლია და, თუ შრომის სურ-  
ვილი ძალიან ცოტასა აქვს, მგონი, საყვედურის მე-  
ტი არავის არ გვიმართებს. ჩვენი საზოგადოებრივი  
ცხოვრება დღეს დღეობით იმგვარ პირობებშია, რომ  
ყველასაგან უანგარო შრომის ითხოვს, და, ვის სი-  
ნიღისაც ხავსი არ ჰმოკიდებია, ზნეობრივად ვალდე-  
ბულია, ამ უანგარო შრომაში მონაწილეობა მიი-  
ლოს.

ივ. გამარტელი.

ღია წერილი „ივერიის“ რედაქციას.

ღმ დღეებში შემთხვევა მქონდა ერთათ გადამე-  
ფურცლა თქვენი ამ წლის გაზეთ „ივერიის“  
ნომრები. ყოველ გაზეთს, როგორც ორგანოს,  
ის დანიშნულება აქვს, რომ თვალის ადევნოს  
ყოველ დღიურ ცხოვრებას, ხალხის დღიურ ჭირ-  
ვარამს; ახსნას ჩვენ თვალ-წინ მომხდარი ყოველ გვა-  
რი ცვლილება და მით მკითხველს ხელმძღვანელობა  
გაუწიოს. რა ვუყოთ, რომ სხვა-და-სხვა გაზეთს ერ-  
თი და იგივე შეხედულება არა აქვს ცხოვრების მო-  
ძრაობაზე, რა ვუყოთ, რომ ყოველი ორგანო თა-  
ვისებურათ ადევნებს თვალს ცხოვრებას და იმის გუ-  
ლიდან ერთსა და იმავე ფაქტებს თავისებურათ გა-  
გინათებს; ამითა თავის თავათ გაზეთის დანიშნულე-  
ბა არ დაირღვევა. ჩვენი საქმეა გავარჩიოთ ერთი  
გაზეთის მსჯელობაც და მეორესიც რომელიმე სა-  
გნის შესახებ და რომელიც უფრო დასაბუთებული  
იქნება, — ჩვენც ის მივიღოთ. სწორეთ ამ მოსაზრებით  
შევეუდექი „ივერიის“ გადაკითხვას.

რამდენათაც ამ 2—3 თვის ნომრები ნებას მა-  
ძლევენ, შემძლიან ვთქვა თამამათ, რომ თქვენ, პა-  
ტიცემულო რედაქციავე, ამ ბოლოს გაზ. „კვალს“  
უფრო ადევნებთ თვალს, ვიდრე თითონ ცხოვრებას;  
მკითხველების ხელმძღვანელობა დაგვიწყებიათ და  
„კვალის“ მეთაურ-თანამშრომლების ხელმძღვანე-

ლობა დაგიწყიათ. მაგრამ რას ვამბობ?! რის თვალის დევნება, რის ხელმძღვანელობა! თქვენ არც აქეთ, არც იქით „კვალი“ აკეთებისწუნებით, ცდილობთ, ჩვენს თქვენსავეთ მივიძღულოთ იგი და ხელში აღარ ავიღოთ. მართლა და ვინ იცის? იქნება „კვალს“ ამოდენა მკითხველები შეცდომასა შევეყვართ და თქვენ ცდილობთ, პატივცემულო რედაქციავ, ამ შეცდომასაგან დაგვისხნათ? კარგი დაგემართოს. მაშ უფრო ყურადღებით წაგიკითხავ თქვენი გაზეთის ფურცლებზე დასტამბულ წერილებს. უფრო დაეკვირდები რა სარჩული უდევს თქვენგან „კვალს“ ათვალისწუნებას, ან რა რიგით ადევნებთ თვალს ამ გაზეთს. საქმეც იმაში გახლავთ, რომ რაც უნდა დაეკვირდე, ვერც ერთსა და ვერც მეორის საფუძვლიანობას ვერ ვხედავ თქვენი გაზეთის ფურცლებზე. თქვენ არ მოგწონსთ ის მიმართულება, რომლის გამოხატველიც არის ჩვენში „კვალი“? მერე რატომ პრინციპიალურათ არ ვხეებით მას და არ გვიჩვენებთ მის ნაკლებობას? არაფრათ გვბრძანებთ ის მოძღვრება, რომლის მატარებელიც არის ჩვენში „კვალი“? თუ ასეა, რატომ არ ადევნხნით? რატომ არ დაგვისაბუთებთ, არ დაგვიმტკიცებთ? რამდენი ხანია ჩავგვიჩინებთ, ევროპაში შექმნილ ფორმულებს, იქ გამოთქმულ აზრებს ჩვენში ადგილი არა აქვთ და აქამდის ვერ დაგვარწმუნებთ თქვენი სიტყვების ჭეშმარიტებაში. გადავლეთ თვალი კაცობრიობის ისტორიული მსვლელობის გზას, გაითვალისწინეთ ჩვენი კულტურის ისტორიაც; აიღეთ ორივე მხრივ სხვა-და-სხვა საფეხურები, შეადარეთ ერთი მეორეს და გვითხარით: აი, ხომ ხედავთ—ჩვენი ისტორია სულ სხვა ყოფილა, სულ სხვა კანონებს ექვემდებარება, ჩვენი ცხოვრების განვითარება ევროპისას არა გავს და არც დაემსგავსება, მაშინ ხომ სულ უარს ვყოფთ ევროპაში შექმნილ აზრებს და სამუდამოთ ხელს ავიღებთ იმის კითხვაზე. მაგრამ საქმეც იმაში გახლავთ, პატივცემულო რედაქციავ, რომ თქვენ ამას თვალი აარიდებთ, აარიდებთ, იმისთვის რომ ამის დამტკიცება საზოგადოთ არ შეიძლება, და თქვენთვის მაინც შეუძლებელზე შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ამას შემდეგ თქვენ მარტო ის დაგრჩენიათ, რომ „კვალის“ ხელმძღვანელის პარად თვისებებში ხელები აუათუროთ, შეეხათ მის ნაკბა, თუ უნიჭობას; „კვალში“ მოყვანალი სიტყვები ისე აათამაშოთ, ისეთ ირონიულ ქერქში გამოხვიოთ, რომ არც კი შეეხათ ამ სიტყვების შინაარსს. ერთი სიტყვით თქვენ ახლა მარტო იმას გვიმტკიცებთ, რომ თქვენც და თქვენი თანამშრომლებიც განუზრმელი ზიზლით ბრძანდებით გაქვდენთილი „კვალისა“ და მისი ხელმძღვანელისადმი ზიზლი; თავის თავათ პირადი სუბიექტიური ხასიათი

აქვს, ხოლო, როცა თქვენ გინდათ, პატივცემულო რედაქციავ, ეს ზიზლი ჩვენს ვიცოდეთ და კიდევ გაგზიაროთ იგი, მაშინ რამე ხელსაყარი საბუთი უნდა წარმოვედგინოთ. მაგრამ, როგორც მოგახსენებთ, სანთლითაც რომ ვეძებო, ასეთ საბუთს თქვენი გაზეთის ფურცლებზე ვერ ვიპოვი. საზოგადოთ ყოველსავე მოვლენას თავისი მიზეზი აქვს და ამ მხრივ არც თქვენი ზიზლია უმიზეზო, უნიადაკო; მხოლოთ ეს ნიადაგი თქვენ თვითონ არა გაქვთ შეგნებული და ყოველ დღე მარტო იმას ჩავგვიჩინებთ: მე მძაგვ, მეზიზლება „კვალი“ და აჰა, მკითხველებო, თქვენც გეზიზლებოდეთო. ერთი სიტყვით, ძნელი მოსარჩენი სნეულება შეგყრიათ ამ ბოლო დროს და ამ სნეულებას *сердитое безсилие*—შეგვიძლია დაეარქვათ. რომ არც ერთი თანამგრძნობელი არ გიჩნდებოდესთ, მართლა სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდით, მაგრამ თქვენდა საბედნიეროთ, ჩვენში კიდევ საკმაოთ მოიძებნებიან თქვენი ფეხის ხმის ბარგათ ამყოლნი და ამისთანებს არც თქვენ აკლებთ, ძველებურ სტუმართ-მოყვარეობას თუ მოგიტანთ ვინმემ რაც უნდა უშინაარსო, უაზრო წერილი იყოს, ოღონდ „კვალი“ და მისი ხელმძღვანელი გაჰკიცხონ, თქვენ სიამოვნებით მიიღებთ და კიდევ წამოჭიმავთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე. დიან, ამ მხრივ თქვენ დიდ სამსახურს უწევთ ყველას, ვისაც ძალა არ შეწევს, მაგრამ წერით კი უნდა თავი გამოიჩინოს. ყველა უფიც და უნიჭოსაც კი ხელში კალამს აალებინებთ და საქვეყნოთ აატიკტაკებთ.

აიღოთ მაგალითათ იურიევს უმაღლესი სასწავლებლების დამამშვენებელთა 21 კაცის წერილი; რას ვხედავთ ჩვენ ამ წერილში? ყველ-ფერს. — მხოლოთ აზრებს და აზრების დასაბუთებას კი ვერა. მაშ რათ დაბეჭდეთ თქვენ ეს წერილი? რათ და ეს 21 კაცი ერთხმით რაღაც ნოტაციას უგალობებენ „კვალს“, ვხედავთ იმის მრწამსს; რა ვუყვით, რომ ამ 21 კაცს „კვალის“ მრწამსის ანაბნაც არ გაეგებათ, ალბათ თქვენთვის ეს სულ ერთი ყოფილა; — ოღონდ თქვენი საყვარელი ლანძღვა გინება კი ამოგვეკითხათ შიგ, მაგრამ მაგალითო სხვაც ბევრია და ამ 21 კაცზე მეტი ლაპარაკი არა ღირს.

წინ მიდევს „იერიის“ № 17—18, კვითხულობ ბ. ვარ—ის წერილს, და დაკვირდები თავიდან ბოლომდის და სწორე მოგახსენოთ აი ვიცი, რა უნდა ეთქვა ბ. „ვარ—ს“! არც ერთი საბუთი, არც ერთ ფაქტი! ეს კიდევ ცოტაა.—თქვენ და თქვენი თანამშრომელი ბ. „ვარ—ი“ გამოსულხართ ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ფურცლებზე, შეგმულხართ ერთ ჰაპანში და, აი, რა სასაცილო სცენა გადმოვიშლიათ ჩვენ თვალწინ: ბ. „ვარ—ი“ ამბობს:

—ბ. ნ. ჟორდანიას შუათანა ნიჭის პატრონია. თქვენ უსწორებთ: აჰ! არა, ჩვენ არც ამ ღირსებას ვაკუთნებთ მას, და შეიძლება თავის დროზე ეს დავამტკიცოთ (როდის?). —ბ. ნ. ჟორდანიას ნაწერები ბრწყინავს, თუმცა არა ოქროს ბრწყინალებით; —არც ბრწყინავს, ამასაც თავის დროზე დავამტკიცებთ, უსწორებთ თქვენ. —ბ. ნ. ჟორდანიას საკმაოდ ნაკითხი კაცია, თუმცა ერთ სფეროში; თქვენ კი ვკითხვებით — ევრე-კიაოა?! —ბ. ნ. ჟორდანიას მარქსის მოძღვრება კარგათ აქვს შესწავლილი; —ვითომო?! და სხვა... ერთი სატყეით თქვენი თანამშრომელი ამბობს იმას, რასაც უარპყობთ თქვენ; თქვენ გინდათ დაამტკიცოთ ის, რასაც უარპყობს თქვენი თანამშრომელი. — თქვენ ერთი მეორეს ამტყუნებთ და არ ვიცით რა დასკვნა გამოვიტანოთ აქედან ჩვენ. ასე როგორ გადაუხვიეთ გზას და რიგიანობას, რომ პიროვნულ ნიჟარაზე გადაგაქეთ საქმე! და ან რას ნიშნავს ეს ამდენი დაპირება, ეს წინდაწინ ტრაბახობა, თქვე დალოცვილო, ჯერ დაამტკიცეთ და მერე იტრაბახეთ.


ერთი მაგალითი კიდევ თქვენი ახლათ მონათლული სწეულებების ნიშნათ და მგონი კმარა. აი თქვენი ახლათ გამომცხვარი თანამშრომელი ბ. „იმედგაცრუებული მკითხველი“ ამბობს: გაზეთმა განათლებული ერების ცხოვრებისათვის თელი უნდა მადეენებინოს, ამისნას ჩემ გარეშემო ცხოვრებაში მომხდარი ყოველი ცვლილება... და სხვ. („ივ.“ № 38). ცხადია, მაგას სრულიად არ უდევნებია „კვალისთვის“ თელი; აკი თითონვე ანობს: „ვიცოდი რასაც წერდენ და როგორ —საკითხავათ გული არ მიმდიოდა“ („ივ.“ № 37—38). აბა, რომელი გაზეთი იძლეოდა უფრო დაწერილებით ცნობებს „ევროპის განათლებული ქვეყნებიდან? ვინ არ იცის, რომ „კვალში“ თითქმის ყველა ნომერში ცრუათ თუ ბერადი ახსნილი იყო სხვა-და-სხვა ფაქტები ჩვენი ცხოვრების მოძრაობიდან. სად ეძებდა ყოველსავე ამას თქვენი ახალი თანამშრომელი, პატრეცემული რედაქცია? „კვალის“ პრეველ ფურცლებზე, თუ სახლაც ბოლოში?! თუ ეძებდა, რატომ ვერ შეამჩნია, ან თუ შეამჩნია და არ მოეწონა, რატომ ამის საბუთი არ მოგვაწოდა?! ახეა თუ ისე ბ. „გაცრუებულ მკითხველს“ „კვალის“ ფურცლებზე ვერა დაუნახავსრა. წლის ბოლოს წაფრენია „კვალს“ კუდში, უნახავს იქ წვრილი წერილები ბ.ბ. ლო აბერიძისა და ელიაეასი, სხვათა შორის ჩემიც და „კვალის“ პუბლიცისტის ნიმუშათ ესენი გამოუტანია. აბა, ამაზე მეტი გზა-კვალის არევა განა შეიძლება?! არ

შევეხები მე აქ იმ აბლაკატურ ჩმახვას, რომელიც იცავს „გაცრუებული მკითხველი“ ბ. ფაღავას; არ შევეხები არც იმ უხვირო სოფისტიკას, რომლითაც ის არჩევს ბ. ელიაეას წერილს. მოვისწინებ მარტო იმას, რასაც ბრძანებს ის პირადად ჩემზე. სტუდენტობა მას ისე წარმოუდგენია, როგორც ერთი ორგანიზმი; დაშედება ერთი სხეული და მოიშლება მთელი ორგანიზმი — ფიქრობს. მაგას აქამდის ვერ გაუკია, რომ სტუდენტობაში ისეთივე დიფორენციაცია, ისეთივე სხვა-და-სხვაობაა ინტერესებისა, როგორც თვითონ ჩვენ საზოგადოებაში. თქვენი თანამშრომელისაგან არ მიკვირს ამ უბრალო ჭეშპარიტების შეუფენებლობა, პატრეცემული რედაქციავე, მაგრამ რას ნიშნავს, რომ მისი აზრებით ჩვენ ასე გვიმასპინძლებით. დავიჯერო, რომ არც თქვენ გაქვთ შეგნებული სხეულებული ჭეშპარიტება?! ეს შეუძლებელია. თქვენ, როგორც მოგახსენეთ, ის სხეულება გაწუხებთ, რომელიც ჩრდილავს თქვენში შორს გამჭერეტელობას და სხვა არაფერი. სამწუხარო მხოლოდ ახლა ის არის, რომ ეს სხეულება გადამდებია. „ჩემი პირადი შთაბეჭდილება ახალგაზდა პიბლიცისტებისათვის ძვირფასი სახელმძღვანელოა“ ჩაგვიჩინებს „გაცრუებული მკითხველი“. ვიმეორებ, რომ ჩემი თავი პუბლიცისტათ არ მიმაჩნია, მაგრამ მაგის შთაბეჭდილება იმდენათ მაინტერესებს. რამდენათაც ბოგდინანის მუცლის ტკივილი.

ასე ვათავებ თქვენთან საუბარს. არ იფიქროთ, რომ მე ზოგიერთ თქვენ თანამშრომლებთან საპოლემიკოთ საღერღელი მქონდეს აშლილი. მე მხოლოდ, ა, რა მინდა ვუთხრა მაგისთანებს: მაგათ რომ თავის თავზედაც ჩემი გაუცრუვდესთ და აწ მაინც აღარაფერ შეაწუხონ თავისი აზრებით სწორეთ ის დროა. თქვენც, პატრეცემული რედაქციავე, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ კაცობრიობის გონებრივი განვითარების ისტორიაში კარგა ხანია ამოიშალა დოგმატიური ხანა და ახლა საზოგადოება ისე ბრმათ აღარ მიიღებს ყოველ თქვენ უსაბუთო სიტყვას. გაქრა ის ბედნიერი დრო... ახლა ჩვენ გვეჭირება საბუთი და კიდევ საბუთი: დრო არის თუ მოგვძებნებათ ასეთი რამ გამოაქვეყნოთ და უბრალო სიტყვების რახან-რუხიდან და ლანძღვა-გინებისაგან დაგვიხსნათ.

სტ. ს. ლევანაძე.

ქ. იურაქი.



„შენც სრულად მონა ხარ!..“

(ფსისოლოგიური კტოედი)

I.

ჭრილობა საშიშიაო?.. თუ ღმერთი გწამს მარ თალი მითხარი ვასო,—აღშფოთებით ეკითხებოდა გიორგი თავის მეგობარს ღერეფანში.

— კი, საშიში ჭრილობააო, თქვა მკურნალმა, მაგრამ სიკვდილით კი არა უჭირსრაო,—მიუგო ვასომ, მხოლოდ ვასოს პატიოსანმა სახემ ვერ დაჰფარა ნაძალადევი სიკრუფე. გიორგიმ გულნაღვლიანათ შენიშნა: კაცო, ბავში ხომ არა ვარ, რომ მატყუებ... სიმარტლე მითხრა?!

— რა უნდა გითხრა, ძმაო, მკურნალი მეტათ აღარ მოვა და...

— ოხ, ფეხებიც მოტეხია... ნეტავ სულაც არ მოსულიყო, ერთომ რა გააკეთა მისმა მოსვლამ, ტყუილა უკანასკნელი სიცოცხლე მოუშნამა საცოდავს წყლულში სადგისს ჩხიკინით. შეჩვენებულმა, თუ შეატყო, რომ მოსარჩენი არ იყო, რალს აწვალებდა. მაგრამ... რას ვამბობ მე სულელი, მკურნალები ზომ სიკვდილ-სიცოცხლისთვის არ ფიქრობენ... მათ უფრო ფული და გამოცდილება ეჭირვებათ...

— შეილო, შეილო, გიორგი!.. ჩქარა, ჩქარა!.. გეძახს,—გააწყვეტია დედამ გიორგის.

— რა ამბავია დედი!.. შეჭყვირა გიორგიმ და შურდულივით შეიჭრა სახლში.

— მოდი, მოდი, ჩემო გიორგი, მოდი, ერთი კიდევ დაეტყებ შენი ციკრით,—უთხრა სულთმოზრძაძემ მაკრინემ გიორგის, თავის საყვარელ ქმარს, როცა დაინახა.

საწყალ მაკრინეს სიცხისაგან ცეცხლივით გაწითლებოდა სახე.

— გიორგი, გენაცვა, რა თქვა ექიმმა?.. რა უყვეს იმ უბედურს ივლ...

— დაიჭირეს, ჩემო სიცოცხლევ და დაისჯებოდა კიდევ სასტიკათ, რომ თავის მოკვლას მოეწონო,—გააწყვეტინა გიორგიმ.

— რაო?.. თავი მოიკლა?!. ოხ, საწყალი!..

— რა თქვი, მაკრინე!.. ჩაჰკითხა გიორგიმ,—საწყალი ვინ არის? ის, ის შენი მკვლელი, ის ჩემი დამლუპველი?!

— კი, კი, ის საწყალია... მე მას ეყვარებიან! ჰოა!.. საწყალი... დასძინა მაკრინემ ძლივს გასაგონი ხმით და ატირდა.

— მაშ, შენც ის გიყვარდა!.. დაეკითხა აღშფოთებულათ გიორგი,—და იტაცა თმაში ორივე ხელეზი,—მაშ, შენც ის გიყვარდა?.. შეჭყვირა მან და ზეწამოვარდა.

პასუხი არ იყო. მაკრინე ტიროდა.

— ახ, მაკრინე, მაკრინე!.. თუ ის გიყვარდა რატომ დროზე არ თქვი?..

— არა, არა, მე კი არა, მას, მას... ეაი, საწყალი!..

— ოხ, წყეულო ქვეყანავ!.. „ეაი საწყალიო“. თუ გინდ მეც ახლავ მოვიკლავ შენთვის თავს, რომ დავიმტკიცო ჩემი გულისპასუხი... საწყალი მე ვარ, ჩემო მაკრინე! მე!..

— ეაჰ!.. საწყალი მართლა ეყვარებივარ მას... სიტყვა ვეღარ დაასრულა, ყელში ტირილი მოაწვა.

— ახ, ახ... მაკრინე, მაკრინე... ვინ არის საწყალი, ვის ეყარებიხარ მართლა მე თუ მას?..

უბრალოდ ცდილობდა ბედშევი გიორგი, გაეგონა მაკრინესაგან მისი სათაყვანებელი პასუხი „შენ, შენ“—ო. მაკრინე უკვე სულისბრძოლაში იყო და მეტიც აღარა უთქვამსრა.

— ახლა კი მივარდა გიორგი შეწუხებულ მაკრინეს, გადაეხვია და ტირილით აჩუყებული გულით ეკითხებოდა: მაკრინე, მაკრინე... მაკრინე, ჩემო იმედო... ასე ჩქარა მივიწყებ შენ გიორგის?..

გიორგის უნდოდა ჩაეკოცნა მისი საყვარელი მაკრინეს თვალეზი და ამით მაინც დაეკმაყოფილებია თავისი გამჭკალი იმედი, მაგრამ რაკი მაკრინესგან იელიანეს შესაბრალი სიტყვები გაეგონა, ვეღარ ბედავდა „ეაი თუ მე კი არა, ის უყვარდა და უკანასკნელი სულის კვეთება მაინც აღარ აღეუშფოათოვო“. ამ ბრძოლა-წვალეზაში რომ იყო, ამ დროს ოდნავ გააჭკიტა მაკრინემ თვალეზი და ინსტიქტიურათ გადმოღვა აკანკალეზული ხელი გიორგის კისერზე. ახლა კი დაეკონა აცრემლებული გიორგი მაკრინეს გაფითრებულ ტუჩებს, მაგრამ გვიანლა იყო... მაკრინე გათავდა.

II.

მთელი ღამის უძინარ გიორგის ნაცრის ფერი გადაჰკროდა სახეზე. ჯერ კიდევ არც კი გათენ-

ბულიყო, ის თავის უნებურათ გარეთ გამოვიდა და გიჟივით მიაშტერდა აღმოსავლეთს. გიორგის გარეთ გამოსვლა მის მეგობრის ვასას მეტს არაგის შეუმჩნევია.

საწყალი დედა გიორგისა და მამა მაკრინესი ამ საშინელი ამბით შეწუხებულნი ნახევრათ მკვლარს. ვით ზედ ცხელარზე იყვენ მიკნობილნი და განუწყვეტლივ ტიროდენ. მაკრ-დამხდურნი კი, მახლობელ ოთახებში შეკრებილები, ზოგნი ხერხინავდენ ლენით გაჟღენთილები და ზოგი კი გამომძიებელს ჩეჩებას აძლედა. აი რა ილაპარაკა ერთმა დამსწრეთაკანმა: „როცა მეფე დედოფალი გეორგინ ქვეშ დააყენეს და, ჩეულებრივით მღვდელმა ჰკითხა დედოფალს: თანახმა ხარო? საწყალმა ქალმა ჯერ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და შემდეგ კი თანხმობის ნიშნათ თავი დაუხარა. ამ დროს გამოეარდა ის მხეცი და თვალის დახამხამების უმაღ ჩაპკრა საწყალს ქალს ხანჯალი ფერდში და გარეთ გაეარდა. უცებ ხელი ეტაცეთ, მაგრამ მოგვასწრო და სანამ ხელებს დაეუჭრდით, დაიცა თავისივე ხანჯალი და იქვე დაეცა უსულოთ...“

სანამ გამომძიებელი თავის საქმეს მორჩებოდა, გიორგი სახლში აღარ შებრუნებულა. ის იყო გაჩერებული ერთსა და იმავე ადგილას და აღმოსავლეთს გაპყურებდა.

— ნუ თუ დღესაც უნდა ამოვიდეს მზე?.. დაეკითხა გიორგი თავის თავს. არა!.. თუ ისიც ჩვენსავით მონა არ არის, დღეს აღარ ამოვა.

გიორგის ფიქრებში დრომ შეუმჩნეველათ გაიარა და მზემ თავი ამოპყო. როცა მზის საუცხოველ სხივმა შემოპყრა გიორგის ცხოველი ისარი, ის მხოლოთ მაშინ მოეგო გონს და გიჟსავეთ შეჰყვირა: დადექ?.. მზე კი უფრო და უფრო უმატებდა სხივებს და სწრაფათ იწედა ზევით-ზევით.

— ყველაფერი გათავდა, — თქვა გიორგიმ გულმოკლულათ. — დაეკარგე ბედნიერება, დაეკარგე სულის სიმშვიდე, იმედი. გუშინ ბედნიერი დღეს საცოდავი ვარ!.. შენ!.. შეძახა მან ისევ მზეს, — შენ კი ისევ ისე კაშკაშებ და სხივებს ისერი ქვეყანაზე, ვითომ აქ არაფერიოდ და, თითქო მგედიდურობ კიდევ, რომ უკვდავი ხარ, ვითომ და მზევარ ცხოველმყოფელიო. იწევი ზევით ზევით... არ გესმის ჩემი ვედრება, არ აბნელებ ქვეყანას, რომ ამით მაინც დამი-

ამო წყლული გულისა... ოხ, უწყალოვ არც კი ჩერდები; ჰო!?. მაგრამ... რას ეაზობ სულელი, განა შევიძლია კი შეჩერდე?.. ეს ხომ შენ ხელთ არ არის, — შენ ხარ მხოლოთ მონა შენის ხედრისა, არცა კი ძაღვ-ძს სახე გადაისხვაფერო... მე კი... მე კი ამას ვერაფერ დამიშლის..

გასწი, გასწი, უგუნურო!.. მეზიზღები, რადგან — „შენც სრულიად მონა ხარ“!..

იასე ჩაჭკედი.

ქუთაისის სააზრეშტეში და საფეიქრო ამხანაგობის შესახებ

დღით გასაკვირველო და საკარსი საქმე არის ეს ამბავი, ღმერთმა ყრუ და მიეარდნილ ადგილშ აქ ნუ ქნას ამისთანა გაუგებელი და გამოუსადეგარი საქმე, როგორც ამ ჩვენ დედა-ქალაქ ქუთაისშია. ერთხელ საუბედუროთ ენახე აქაური საფეიქრო შენობა და მისი ნაღვწი. როგორც ენახე, სასოება გამეხსნა, ვითქვამ, ეს ისე კარკათ არის დაწყებული, რომ იხიერებს თქვა, და რამოდენიმე წილას ბილეთი ავიღე, ფულებიც მაშინვე მიეართვი, გაიყრდა კიდევაც ბლომთ ამხანაგობის ბარათები, ყველა ლაპარაკობდა, მადლობა ღმერთს ეგ ერთი კარგი საქმის უფროსობა ინება თ. თუმანოვი, და რადგან იმან მიიღო ეს თავის თავზე, ამ საქმის გაფუჭება შეუძლებელიაო! ჩვენ გარეშე პირებს გვეგონა, რომ ფულები სასარგებლოთ შევიტანეთ, მაგრამ ახლა გამოდის, რომ არა თუ სასარგებლოთ, დასაკარგათ მიგეტანია მწარე ოფლით ნაშრონი ფულები. ბატონი თუმანოვი და ანჯაფარიძე წაიხზებენ და გამართეს საჩივრება, შენობა გაუქმებულია, ნივთები გაფუჭებულია; ჩვენ არაფერ გვიწვევს, დივიდენდი კი არა, თავნიც მგონი დაკარგულია. ახლა, ენაიდან ქარხნის გაუმჯობესობა აღარ შეიძლება და ჩნებს ბოლო აღარ ეძლევა, რისთვის აჩერებს ბატონი თუმანოვი ამხანაგობის ფულებს, რომ არ გვირიგებს უკანვე, იმედია ამას მიაქცევს ყურადღებას და თუ მას არ აქვს ეს ფული, გაგვაგებიებს მაინც ვის აქვს.

თამა სურცილაძე.

სოფ. კულაშიდან.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.